

ექვსი თვის ანგარიში

მე, მირზა აფრიდონიძე მოგახსენებთ, რომ გახლავართ სოფელ კვახჭირის თემის მათორიტარი დეპუტატი, რომელშიც შედის სამი სოფელი: კვახჭირი, ოდილაური და სარბევი. ჩემი არჩევიდან გავიდა ექვსი თვე, ამ პერიოდში სამივე სოფლის მოსახლეობასთან რამდენჯერმე გაიმართა შეხვედრები, რამაც დამანახა, რომ ჩემი ამომრჩევლის ძირითადი მოთხოვნა წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებაა.

უფრო კონკრეტულად კი სოფელ სარბევს, სადაც 150 კომლი ცხოვრობს არ აქვს სკოლა და ბაღი. პრობლემას წარმოადგენს, სოფლის ადმინისტრაციული ცენტრის დაახლოებით შვიდი კილომეტრის დაშორებით მდებარეობა. მოსახლეობა ვერ ახერხებს ამბულატორიით სარგებლობას, ამიტომ მაცხოვრებლებთან შეთანხმებით სოფელში მდებარე პატარა შენობის გარემონტების შემთხვევაში მათ შესაძლებლობა ექნებათ, თუნდაც კვირაში ერთხელ, მოახერხონ ექიმთან შეხვედრა, რომელიც ხალხს საჭირო რეკომენდაციებს და დახმარებას გაუწევს. ზემოთხსენებულ შენობაში შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ სოფლის მოსახლეობის მიღებაც. ამ სოფელში წინასაარჩევნოდ გაჟღერდა სხვადასხვა დაპირებები: გზის, განათებისა და საკანალიზაციო არხის მოწყობასთან დაკავშირებით. გზის პროექტირება და პროექტის განხორციელება დაახლოებით ორ-სამ თვეში დაიწყება, თუმცა სამწუხაროდ, ხალხისთვის განათებისა და საკანალიზაციო არხების მოწყობა ჯერჯერობით ისევ დაპირებად რჩება, რაც მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევს. ასევე ამ სოფელში არის უთანხმოება ერთ პიროვნებასა და სოფლის მოსახლეობას შორის, რომელიც გამოწვეულია წინა ხელისუფლების დროს ამ პიროვნების მიერ იმ მიწის ნაკვეთის ფარულად, მცირე თანხის შესყიდვით, რომელიც განკუთვნილი იყო სკოლისთვის სპორტული სტადიონის მოსაწყობად. ჩემი შუამდგომლობით მოვახერხეთ მიწის ამჟამინდელ მფლობელთან გასაუბრება, რომელიც დათანხმდა ამ მიწის სხვა ალტერნატიულ ნაკვეთზე გადაცვლას. კოლექტიური წერილი გადაგზავნილია ეკონომიკის სამინისტროში, საიდანაც ველოდებით დადებით პასუხს, რომლის საშუალებით მოხერხდება მოცემული პრობლემის მოგვარება.

რაც შეეხება, კვახჭირსა და ოდილაურს აღნიშნულ სოფლებში ყველაზე დიდი პრობლემა წყლის სისტემის მოწყობის გაკვიანურებაა. სოფლებში წყლის არქონით გამოწვეული პრობლემის გამო მოსახლეობა ითხოვს სისტემის სრულად მოწყობის დასრულებამდე, მათ კვირაში ერთხელ მიეწოდოთ წყალი. ამას გარდა, ორ უბანზე მოუწესრიგებელია გარე განათება. არჩევნების შემდეგ ადგილზე ჩამოტანილია პლანფონები, დამონტაჟებულია მრიცხველები, მაგრამ განათება ბოლომდე მოწესრიგებული არ არის. მოსახლეობას ასევე პრეტენზია გააჩნია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ხნის განმავლობაში არ მოხერხდა გზების გრეიდერით დაპროფილება, ინერტული მასალის შეტანა და სანიაღვრე არხების გაწმენდა არსებული პრობლემებისთვის მოსახლეობა უმოქმედობაში ადანაშაულებს ხელისუფლებას.

უნდა აღინიშნოს ის, რომ ამ პერიოდში მოსახლეობა გაწეული სამსახურით, რაც ერთდღერად სოციალურ დახმარებებს გულისხმობს, კმაყოფილია. ჩვენი არჩევის შემდეგ კვახჭირსა და ოდილაურში სააღდგომოდ მოხდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზების მოწესრიგება და სასაფლაოდან გამოტანილი ნაგავის გატანა.

სოფელში ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 18 ოჯახს, სურსათით- 3, მედიკამენტებით-1, ხოლო თანადაფინანსება 9 მოქალაქეს.

ჩემი თხოვნაა, რაც შეიძლება მალე დავიწყოთ ყველა ზემოთხსენებული პრობლემის აღმოფხვრა სამივე სოფელში, რაც ყველაფერთან ერთად მოსახლეობას დადებითად განაწყობს არჩეული ხელისუფლების მიმართ. გთხოვთ, გათვალისწინებული იქნას მოთხოვნები, რომელსაც სამივე სოფლის მოსახლეობა გვიყენებს!

